საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ქალთა ფონდი „სოხუმი“

საინფორმაციო გზამკვლევი ქალებისთვის:

იცოდე და დაიცავი თავი!



www.sosfsokhumi.ge

რატომ არის ეს გზამკვლევი მნიშვნელოვანი

ძალადობის შემთხვევებში სწრაფი და ინფორმირებული რეაგირება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

ბროშურის მიზანია ქალებს, თემის ლიდერებსა და საზოგადოების აქტიურ წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია, სად შეუძლიათ დახმარების მიღება და რა სახის სერვისებია ხელმისაწვდომი.

დამატებითი რესურსები და ვრცელი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

sosfsokhumi.ge

პირველადი რეაგირება

თუ ძალადობა ხდება ან არსებობს საფრთხე, ქალმა, პირველ რიგში, უნდა იზრუნოს საკუთარ უსაფრთხოებაზე.

- დაუყოვნებლივ უნდა დარეკოს **112-ზე** – პოლიცია და სასწრაფო დახმარება (მუშაობს 24 საათის განმავლობაში).
- უსაფრთხო ადგილას გადასვლა და სანდო ადამიანთან დაკავშირება პირველი ნაბიჯია.
- კონფიდენციალურობა მნიშვნელოვანია, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მხოლოდ იმ სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს დაცვასა და პროფესიონალურ დახმარებას.

ცხელი ხაზები და სასწრაფო მხარდაჭერა

ქალებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგ ცხელი ხაზებზე:

- ⇨ **116 006** — სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტო (24/7, უფასო, კონფიდენციალური ზარი);
- ⇨ **112** — სასწრაფო დახმარება და პოლიცია (ხელმისაწვდომია „ჩუმი განგაშის“ ფუნქციაც);
- ⇨ **111** — ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი;
- ⇨ **292 00 55** — იურიდიული დახმარების სამსახური (უფასო სამართლებრივი კონსულტაცია);
- ⇨ **08 00 00 00 88 / 2 200 220 (3025)** — ფსიქო-სოციალური დახმარების ცენტრი;
- ⇨ **1505** — ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი;
- ⇨ **1481** — საქართველოს სახალხო დამცველი (უფლებების დარღვევის შემთხვევებზე).

მხარდაჭერის ცხელი ხაზები ქალებისათვის



თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები

ძალადობის მსხვერპლ ქალებს შეუძლიათ დროებით უსაფრთხო გარემოში განთავსება და სრული მხარდაჭერის მიღება.

თავსშესაფრები და კრიზისული ცენტრები უზრუნველყოფენ:

- უსაფრთხო საცხოვრებლით (სადღეღამისო თავშესაფრით);
- ფსიქოლოგიურ და სოციალურ დახმარებით;
- სამედიცინო მომსახურების ორგანიზებით;
- იურიდიული დახმარებით და წარმომადგენლობით;
- საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურებით.

ქვეყანაში ფუნქციონირებს

5 თავშესაფარი

და

7 კრიზისული ცენტრი:

- ✓ **სიღნაღის** ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი);
- ✓ **ქუთაისის** ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი);
- ✓ **გორის** ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი);
- ✓ **თბილისის** ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი);
- ✓ **ბათუმის** ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).

⇨ **თბილისის კრიზისული ცენტრი**
მის.: ბუდაპეშტის ქ.28

⇨ **ქუთაისის კრიზისული ცენტრი**
მის.: დუმბაძის ქ.59-61

⇨ **გორის კრიზისული ცენტრი**
მის: ბარნოვის ქ.9ა

⇨ **ოზურგეთის კრიზისული ცენტრი**
მის. ქ. ოზურგეთი, გრიბოედოვის ქ. 21

⇨ **მარნეულის კრიზისული ცენტრი**
მის.: ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.41; ბ.48

⇨ **ზუგდიდის კრიზისული ცენტრი**
მის.: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცაიში

⇨ **თელავის კრიზისული ცენტრი**
მის.: ქ.თელავი, დავით რექტორის ქ. 8

მომსახურების მიღება შესაძლებელია **ნომერზე 116 006**

დარეკვით ან შესაბამის რეგიონულ ცენტრთან დაკავშირებით.

იურიდიული და ფსიქო-სოციალური დახმარება

იურიდიული დახმარება

იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს უფასო კონსულტაციასა და წარმომადგენლობას სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოებში. სერვისით სარგებლობა შეუძლიათ ძალადობის მსხვერპლ ქალებს, ასევე სხვა მოწყვლად პირებს.

ცხელი ხაზი: 292 00 55

მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური დახმარება

ფსიქო-სოციალური დახმარების ცენტრები უზრუნველყოფენ ფსიქოლოგიურ კონსულტირებას, თერაპიასა და ტრენინგებს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. სერვისით სარგებლობა უფასოა და ხელმისაწვდომია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

ცხელი ხაზები: 08 00 00 00 88 და 2 200 220 (3025)

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

დახმარების პარალელურად ქალებს შეუძლიათ ისარგებლონ სხვადასხვა პროგრამით, რომელიც ხელს უწყობს ქალთა პროფესიულ განვითარებას, თვითდასაქმებასა და შემოსავლის წყაროს შექმნას.

ვებგვერდზე sosfsokhumi.ge წარმოდგენილია:

- ⇨ სახელმწიფო პროგრამა **„აწარმოე საქართველოში“** – მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობისთვის

  ცხელი ხაზი: 15 25

  საერთაშორისო ზარებისთვის: + 995 32 296 00 10
  ელ-ფოსტა: info@enterprise.gov.ge
  ვებგვერდი: https://www.enterprisegeorgia.gov.ge

- ⇨ **დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისები**

  ტელეფონი: 032 239 53 06
  ელ. ფოსტა: Infosesa@moh.gov.ge
  პორტალი worknet.moh.gov.ge

- ⇨ **დევნილთა და ეკომიგრანტთა მხარდაჭერის პროგრამები**

  მისამართი: თბილისი, თამარაშვილის 15ა
  ცხელი ხაზი: 1505
  ვებგვერდი: https://idp.gov.ge/livelihood-programs/

- ⇨ **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

  ცხელი ხაზი: 1501
  ელ-ფოსტა: info@mepa.gov.ge
  ვებგვერდი: https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/189

- ⇨ **შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა** წარმოადგენს „ერთი ფანჯრის" პრინციპზე შექმნილ საჯარო ვებ-პორტალს, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა მომხმარებლისათვის განახლებული ინფორმაციის მიწოდებას ქვეყანაში შრომის ბაზრის ტენდენციებზე, კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიებზე - http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Default.aspx

- ⇨ **მუნიციპალიტეტების** მიერ დაფინანსებული ადგილობრივი ინიციატივები ქალი მეწარმეებისთვის.

თემის ლიდერების როლი

თემის ლიდერ ქალებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ძალადობის შემთხვევებზე დროულ რეაგირებასა და ინფორმაციის გავრცელებაში.

- ლიდერებმა უნდა იცოდნენ ცხელი ხაზების ნომრები და გაუზიარონ ისინი თემის წევრებს;
- საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ დახმარება აღმოუჩინონ მსხვერპლს შესაბამის სერვისთან დაკავშირებაში;
- თემის ლიდერებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ კონფიდენციალურობასა და უსაფრთხო კომუნიკაციას. დახმარება ყოველთვის არსებობს - მთავარია ინფორმაცია. საქართველოში მოქმედი სერვისები ქმნის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვას, რეაბილიტაციასა და გაძლიერებას.

  ვებგვერდი **sosfsokhumi.ge** არის ერთიანი ციფრული სივრცე, სადაც თავმოყრილია ყველა საჭირო ინფორმაცია - სახელმწიფო, მუნიციპალური და არასამთავრობო სერვისები, ცხელი ხაზები, პროგრამები და პრაქტიკული რჩევები.

საქველმოქმედო-ჰუმანიტარული

ქალთა ფონდი „სოხუმი“



Facebook

WFSTbilisiOffice/WFSukhumi

Instagram

wfsukhumi

TikTok

wfsukhumi

Website

fsokhumi.ge / sosfsokhumi.ge